ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
110690

სამშობლო, დედის ძუძუი. არ გაიცვლების სხვაზედა...

# ოდიში

1990
ხუთშაბათი
13
სექტემბერი
№110 (10347)
ფასი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის 1936 წლის 1 მარტიდან

საქ. კპ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების ორგანო

## რაიონის პედაგოგთა კონფერენციის მიმართვა

**ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლების პედაგოგიურ კოლექტივებს, სკოლამდელი და სკოლის გარეშე დაწესებულებების მუშაკებს, საბაზო და საშეფო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, სასოფლო საბჭოს აღმასკომებსა და დეპუტატებს, მშობელთა საზოგადოებას, მოსწავლე ახალგაზრდობას**

საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ზრუნვა და ეროვნული მოძრაობის მძლავრი ...ლმავლობის ინტერესები თითოეული ჩვენთაგანისაგან უაღრესად დაძაბულ შრომას, პირადი პასუხისმგებლობის ამაღლებას, ენერგიულ და მასშტაბურ მოქმედებას მოითხოვს.

ახალი თაობა, რომელსაც სამართლიანად უწოდებენ გარდაქმნის თაობას, თავისი გმირული საქმეებით დაამგვირგვინებს ჩვენი საუკუნის ბოლო ათწლეულს და 21-ე საუკუნეს ღირსეულ მემკვიდრეობას ჩააბარებს.

რაიონში დღეს ბევრი რამ კეთდება საიმისოდ, რათა სკოლამ მარტო თეორიული ცოდნა კი არ შესძინოს ახალგაზრდობას, არამედ დამოუკიდებელი შრომითი და საზოგადოებრივი საქმიანობისათვისაც მოამზადოს იგი.

სკოლას ბევრი საზოგადოებრივი მეურვეობა და საწარმოო ორგანიზაცია უდგას გვერდში თანამხმარედ და მოკავშირედ, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის გარდაქმნა, რომლის დაწყებიდან ხუთი წელი გავიდა, ძალზე ნელა ხორციელდება. რიგ რეგიონებში ერთნაირად როდი ესმით სკოლის გარდაქმნის მოთხოვნათა განხორციელების მნიშვნელობა.

ძვირფასო მეგობრებო! რაიონში ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის მუშაობის გარდაქმნას ბევრი არსებითი ხასიათის ხარვეზები გააჩნია, რომელთა უმნიშვნელოვანეს ნაწილს მივაქცევთ თქვენს ყურადღებას.

ჯერ კიდევ სუსტად ხორციელდება კანონად აღიარებული დებულება სკოლისა და საბაზო საწარმოს ურთიერთობის შესახებ, რაც გარკვეულ წილად უარყოფით გავლენას ახდენს მოსწავლეთა შრომით აღზრდასა და მწარმოებლური შრომის ორგანიზაციაზე, ამასთან აღნიშნული დებულება ფართო ამოცანას უსახავს საშეფო ორგანიზაციებს სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზების სრულყოფის, სწავლების ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფისა და კომპიუტერიზაციის საქმეში.

მიუხედავად ამისა, რაიონის ბევრი სკოლის, სკოლამდელი დაწესებულებების სასწავლო ბაზა და ტექნიკური აღჭურვილობანი ჯერ კიდევ არ შეესაბამება დღევანდელ მოთხოვნებს.

აქვე გვინდა საშეფო და საბაზო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ყურადღება მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ სასწავლო დაწესებულების კეთილმოწყობისათვის გაწეულ ხარჯებს, ახალი თაობის სწავლა-აღზრდისათვის საჭირო დაფინანსებას დღეს არავინ უთვლის არამწარმოებლურ ხარჯად.

დღეს სკოლაში, მეცნიერების თეორიული საფუძვლების მტკიცედ დაუფლებასთან ერთად, ყველაზე აქტუალურ და მტკივნეულ პრობლემად ახალგაზრდობასთან საპროფორიენტაციო მუშაობა რჩება. ეს პრობლემა პირდაპირ კავშირშია ცხოვრებისათვის ახალგაზრდობის მომზადებასთან, მათ ბედნიერ მომავალთან.

ეროვნული სკოლის კონცეფციის საფუძველზე ახალგაზრდობის სწავლებისა და აღზრდის გარდაქმნის საქმეში უპირველესი და გადამწყვეტი სიტყვა თქვენ გეკუთვნით სკოლის ხელმძღვანელებო, მასწავლებლებო, აღმზრდელებო და ოსტატებო! სასწავლებლების მატერიალური უზრუნველყოფა უსაგნო იქნება, თუ კეთილმოწყობილი ბაზა მაქსიმალურად და მიზნობრივად არ გამოიყენეთ ახალგაზრდა თაობის სწავლების, აღზრდისა და განათლების უკეთილშობილესი ამოცანების გადასაწყვეტად. ამ დიად საქმეში თქვენ აღგაფრთოვანებთ ერთიანი, დემოკრატიული და დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლის იდეები.

დღენიადაგ იზრუნეთ მოსწავლეთა ეროვნული და ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდისათვის, მრავალეროვან საქართველოს ღირსეულ მოქალაქეებად მათი ჩამოყალიბებისათვის.

სკოლა, ოჯახი, საზოგადოება — აი ის სამება, რომელთა ერთიანი თანადგომა და თანამოქმედება განსაზღვრავს მოზარდი თაობის ჯანსაღი სულისკვეთებით აღზრდის სასურველ მიმართულებას. ამიტომ ეროვნული სკოლის გარდაქმნის განხორციელებაში ერთ-ერთი მთავარი როლი თქვენ უწევთ და შეასრულოთ, ძვირფასო მშობლებო!

მუდამ გვახსოვდეს ქართველი ერის სულიერი მამის დიდი ილიას შეგონება: „ქვეყანა საუდარი კი არ არის, სადაც კაცი მარტოოდენ უნდა ლოცულობდეს, არამედ სახელოსნოა, სადაც კაცი დღენიადაგ უნდა ირჯებოდეს".

თქვენი შვილი შრომითი საზოგადოების წევრი იქნება, მაშასადამე მისი მნიშვნელობა ამ საზოგადოებაში, მისი ღირებულება, როგორც მოქალაქისა, დამოკიდებული იქნება მხოლოდ იმაზე, თუ რამდენად მომზადებული იქნება იგი ამ შრომისათვის.

ამ ბოლო დროს არასრულწლოვანთა დანაშაულებების სტატისტიკა არ გვაძლევს მოსვენებისა და დამშვიდების საშუალებას. სამართალდამცავ ორგანოებთან და მთელ საზოგადოებასთან ერთად სასტიკი ბრძოლა გავაჩაღოთ რაიონში ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ.

თქვენი როლი, ძვირფასო მშობლებო, მხოლოდ მაშინ ჩაითვალეთ შესრულებულად, როცა ბავშვს განუმტკიცდება რწმენა, „დედის და მამის დარიგებას იმიტომ ვასრულებ, რომ იგი სწორია და ჩემი მომავლისათვის საჭირო". ეს არის დაჯერება. იგი ყოველთვის დაფუძნებული უნდა იყოს მშობლის ნამდვილ ავტორიტეტზე და არა ხელოვნურ, ყალბ და მოჩვენებით ქცევებზე.

მოსწავლეებო! ნორჩო მეგობრებო და მომავლის თაობავ! გვამაყებოდეთ, რომ თქვენ წილად გერგოთ ისტორიული მისიის შესრულება. დღევანდელი საქართველოს გრანდიოზული საქმეებით თქვენ უნდა გადასცეთ ესტაფეტა 21-ე საუკუნეს. ამიტომ დღევანდელი დღის გარდაქმნაში თქვენ გიწევთ უდიდესი როლის შესრულება, სასკოლო საქმიანობის გარდაქმნაში აქტიური მონაწილეობის მიღება.

თანამედროვე პედაგოგიკის ჭეშმარიტად დემოკრატიული პრინციპები სწორედ მოსწავლეთა და მასწავლებელთა საქმიან თანამშრომლობაზეა აგებული. იყავით მამაცნი და გამბედავნი, გულმართალნი და შრომისმოყვარენი. მუდამ გჯეროდეთ, რომ მამულისადმი თქვენი სიყვარული, მისი კეთილდღეობისადმი ზრუნვის საწყაოთი აიწონება, ერთგულად ითანამშრომლეთ თქვენს მასწავლებლებთან და მხოლოდ მაშინ მიიღებს თქვენი ცნობისმოყვარე ბუნება ამომწურავ პასუხებს იმ საკითხებზე, რომელიც თქვენი მომავალი ცხოვრების გასხივოსნებისათვისაა საჭირო.

ძვირფასო მეგობრებო! ყველამ ერთად ვუერთგულოთ მშობლიურ სკოლას — ჩვენი შვილების მზისაბუდარს, მხოლოდ აქედან მოემართება ის მაცოცხლებელი სხივი, რომელსაც ჩვენი შვილების ნათელი ჰქვია და რომელსაც სრულიად საქართველო ელოდება.

ზუგდიდის რაიონის პედაგოგიური კონფერენციის მონაწილეები.

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებიდან

### საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეთა მოადგილეებისა და წევრების დანიშვნის შესახებ

**ქ. ზუგდიდი**

№ 81 რუსთაველის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — ...ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ...შართია — ზუგდიდის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის უფროსი ინსპექტორი.

**წევრები**

...ნესტან ვალერიანის ასული ქირია — „...სიჯარო საწარმოო ფირმა — ...ნაურის" ინჟინერი;

...ლეშა შალვას ძე ღურწკაია — ...სარაიონთაშორისო საწარმოო გაერთიანების ინჟინერი;

შალვა ტროფიმეს ძე ჯიქია — საკონსერვო ქარხნის მუშა;

ქეთინო ალექსანდრეს ასული ჯოლია — ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის დირექტორი.

მისამართი: ზუგდიდი, კოსტავას 7, ტელ. 2-24-03.

**ზუგდიდის რაიონი**

№ 92 კახათის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — ვალერი ვლადიმერის ძე გაბუნია — სოფელ კახათის მიქსინ... [illegible] სახელობის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი.

**წევრები**

ზონდო კაპიტონის ძე გახარია — ზუგდიდის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის ინჟინერი;

ირინე გრამიტონის ასული მინჯორაია — სოფელ ინგირის მე-2 საშუალო სკოლის დირექტორი;

ნონა ინდიკოს ასული ქირია — სოფელ ორულუს რძის საწარმოს მუშა;

ლერი პალადის ძე ქითანავა — სოფელ ინგირის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატის დირექტორი.

მისამართი: სოფელი კახათი, კოლმეურნეობის გამგეობა, 2-15-00 2-30-21.

№ 93 რუხის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — იმედი იასონის ძე ნადარაია — ონარიის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პროფკომიტეტის თავმჯდომარე

**წევრები**

იური მურმანის ძე ზარანდია — სოფელ ჯიხაშკარის კოლმეურნეობის ბუღალტერი;

გივი გვადიას ძე კუკავა — სოფელ ცაიშის ი. მეუნარგიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი;

ლონერი კორკის ძე რაფავა — სოფელ კორცხელის კოლმეურნეობის აგრონომი;

გოგი ოთარის ძე ფარცვანია — სოფელ რუხის კოლმეურნეობა „საქართველოს" აგრონომი.

მისამართი: სოფელი რუხი, კოლმეურნეობის გამგეობა, ტელ. 2-24-71, 2-36-70.

# ვის ეკუთვნის მიწა ჩვენი მარჩენალი?

მიწის კანონი ძირითადი მაცოცხლებელი კანონია ქვეყნისათვის, ეს ითქვა მე-19 პარტიულ კონფერენციაზე, შემდგომ პლენუმზე, მიღებულ იქნა კანონი იჯარის შესახებ, მაგრამ არ ამუშავა, როგორც საჭირო იყო, რადგანაც გლეხს წლების პერიოდში შევამცულით მიწა, არ იყო მისი მესაკუთრე და აქედან გამომდინარე არც ჰქონდა მისი დამუშავებისა და ნაყოფიერების ამაღლების ინტერესი.

მოქმედი კანონის ჩარჩოში დიდმა რაიმე დირექტივა რესპუბლიკის პარლამენტებს არა აქვთ მიღებული თვითმმართველობის პრინციპიდან გამომდინარე ინიციატივას არავინ იჩენს. შემოდის დირექტივა კარგა ხანია ტრიალებდა, საჭიროა ადგილობრივმა მეურნეობებმა თვითონ გადაწყვიტონ და ძალაში შესული კანონი მშრომელების სასარგებლოდ ამოქმედონ.

უმნიშვნელო ხაბჭოს ლეგალურისთვის დღეისთვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სამინისტროებს და უწყებებს გადასინჯონ და შეცვალონ თავიანთი ნორმატიული აქტები, რომლებიც შეიძლება ეწინააღმდეგება ამ საფუძვლებს. დაწესებულ იქნა ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელება 1990 წლის 1-ლ ოქტომბრამდე, როგორც ვხედავთ ამ დადგენილების ავტორებმა 1990 წელი დაუკავეს ქვეყნის ხახალხო მეურნეობას. მთავრობას მეტი პრინციპულობა და ოპერატიულობა უნდა გამოიჩინოს.

მიწა ახალი კანონის მიხედვით ხალხის კუთვნილებაა. კანონის მე-3 მუხლი აცხადებს: „მიწა მოცემულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხთა კუთვნილებაა".

სსრ კავშირის თითოეულ მოქალაქეს აქვს უფლება მიწის ნაკვეთისა, მფლობელობისა, რომლის მიცემის პირობებსა და წესს განსაზღვრავს ეს საფუძვლები, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობა,

მიწა უნდა ეკუთვნოდეს იმას ვინც მას ამუშავებს. ეს აზრი რამდენიმე დეპუტატმა გაიმეორა სახალხო დეპუტატთა საბჭოების ყრილობაზე, მიწა რომ ხალხის კუთვნილებაა ეს ზოგადი მცნებაა, რომელიც კონკრეტულად არაფერს არ ნიშნავს. მთავარია მოქალაქეებს გაეგებინოთ მარტივად მიწის მიცემის წესი, რომელსაც ჩვენი კანონმდებლობიდან კაცი ვერ გაიგებს.

საფუძვლების მე-8 მუხლი ასე აწყობა:

„მიწის მიცემა. მიწის ნაკვეთების მიცემა მფლობელობასა და გამოყენებაში ხორციელდება მიკუთვნების წესით". რას ნიშნავს ეს? მიწა მოქალაქეს მიეცა ე. ი. მიეკუთვნა მუდმივი სარგებლობისათვის თუ გადაეცა თავის მუდმივ განკარგულებაში? ვინ განსაზღვრავს ეს.

საფუძვლების მე-4 მუხლი პასუხობს. „სახალხო დეპუტატთა საბჭოები მიწის ნაკვეთებს აძლევენ მფლობელობასა და სარგებლობაში სსრ კავშირის მოქალაქეებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვა სახელმწიფო, კოოპერაციულ საზოგადოებრივ საწარმოებს"... აქ მიკუთვნებაზე არ არის მითითებული.

საფუძვლების 28-ე მუხლი აცხადებს: „სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწები ეძლევათ: სსრ კავშირის მოქალაქეებს —პირადი დამხმარე მეურნეობის, ინდივიდუალური მებაღეობის, მებოსტნეობისა და მეცხოველეობის გაძღოლისათვის",

მე-20 მუხლში ნათქვამია: „სსრ კავშირის მოქალაქეებს უფლება აქვთ სამუდამო სამემკვიდრეო მფლობელობაში მიიღონ მიწის ნაკვეთები: გლეხური მეურნეობის წარმოებისათვის; პირადი დამხმარე მეურნეობის წარმოებისათვის; მებაღეობისა და მეცხოველეობისათვის, სააგარაკო მშენებლობისათვის"... მიწის ნაკვეთები სარგებლობაში ეძლევათ მებოსტნეობისათვის შესაბამის საბჭოს გამგებლობაში არსებული მიწებიდან, რომელიც დღემდე მიცემული არ არის მფლობელობაში და მუდმივ სარგებლობაში, ეს არის სასოფლო საბჭოს კომპეტენცია, ხოლო გლეხური მეურნეობის საწარმოებლად მიწის მიცემა უნდა მოხდეს სასოფლო საბჭოს წარდგინებით და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს გადაწყვეტილებით.

ახალი კანონი მცირერიცხოვანი ხალხებისა და ეთნიკური ჯგუფების ბინადრობის მიხედვით მიწების გამოყენების განსაკუთრებულ რეჟიმის შემოღებას მოითხოვს, რომელიც შეიძლება მოხდეს ამ ხალხებსა და ეთნიკურ ჯგუფებს შორის გამართულ რეფერენდუმის შედეგების მიხედვით საბჭოსთან შეთანხმებით.

ეს საკითხი დამუშავებას და კონკრეტულ გადაწყვეტას მოითხოვს. ამიტომ საბჭოებმა ჯერ-ჯერობით თავი უნდა შეიკაონ.

სასოფლო-საბჭოების კომპეტენციის შესახებ ადრე მოქმედი კანონმდებლობა არ ეწინააღმდეგება ახალ საფუძვლებს.

საქ. სსრ მიწის კოდექსის მე-14 მუხლის მეორე პუნქტში აღნიშნულია, რომ მუდმივი ან დროებითი სარგებლობისათვის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს უფლება აქვს გასცეს მიწის ნაკვეთი საწარმოებს, ორგანიზაციებს, მოქალაქეებს სასოფლო საბჭოს უშუალო გამგებლობაში მყოფი მიწებიდან.

რატომ არ მოქმედებენ ახალი კანონები?

ამაზე პასუხი გასცა სსრ კავშირის პრეზიდენტმა მ. ს. გორბაჩოვმა 1990 წლის 27 მაისს ცენტრალური ტელევიზიით გამოსვლის დროს. მან აღნიშნა: „უნდა შევქმნათ საკუთრების, იჯარის, მიწის კანონთა რეალიზაციის მექანიზმი, რასაც უჩიოდნენ მეიჯარეები, როდესაც მათ ამ რამდენიმე დღის წინ შევხვდი. ეს პრინციპულად კარგი კანონებია. ალბათ მათ ცხოვრება შეამოწმებს, კიდევ უფრო დახვეწავს. ეს სავსებით შესაძლებელია. მაგრამ ისინი ვერ გვაძლევენ ჯეროვან ეფექტს რადგანაც არ არის მოფიქრებული მათი რეალიზაციის მექანიზმი. ის ძალები კი, რომლებსაც არ სურთ, რომ ეს კანონები სრ[...] დებოდეს, ხორციელდებოდ[...] უნდა ვთქვა, ძალზე ძლიერნი არ[...] ამ წინააღმდეგობის გატეხვას [...] შევძლებთ მხოლოდ შესაბამ[...] სამართლებრივი აქტების მიღ[...] საფუძველზე, რომლებშიც ჩაჭ[...]ილ იქნება ამ დიდმნიშვნელოვ[...] ფუნდამენტური კანონების რეა[...]ზაციის მექანიზმი. ჯერჯერობით პირდაპირ უნდა ითქვას, [...] რეალიზაციის პრაქტიკას სწორ[...]ის აბრკოლებს, რომ ასეთი მექ[...]ზმები არა გვაქვს".

როდის იქნება ეს? ამას თით[...] მკითხველი უნდა ჩაუფიქრდეს. კაც[...]ლოდინს ხომ არ აჯობებს ჩვე[...] მარჩენალი მიწა ამ ახალი საფუ[...]ლების შესაბამისად მივცეთ [...]ვინც მას დაამუშავებს. არ დაკ[...]რგოთ წელი. დაითესონ და მოეს[...]ლებმა მოიმკან, რასაც მიიღ[...] მათი საკუთრებაა, სადაც უ[...] გაყიდონ. ამით ქვეყნის სასურ[...] პროგრამა მოიგებს.

მიწა ქვეყნისათვის არავის [...]რომელია, ხალხი უფრო მეტი გვჭ[...]რა მოხდა? თავი ვერ დავაღწ[...] ეკონომიკურ კრიზისს. მთავრო[...] ჰპირდება სასურსათო საქონლ[...] ფასების 2-3 ჯერ მომატებას, დ[...] კარგა ხალხში ხვალინდელი დღ[...] რწმენა. რა ვქნათ? კვლავ რეფორ[...] ფაცია ხომ არ არის საჭირო, [...] უმჯობესია მივცეთ ხალხს მიწ[...] დამუშავების სტიმული. მოვაწყ[...] შრომის დემოკრატიული ორგანიზ[...]აცია, არა რომელიმე „იზმის" მიხ[...]დვით, არამედ ხალხის და ცხოვ[...]ბის კარნახით.

შ. ხარია,

სსრ კავშირის სახალხო დეპუტ[...]ტის თანაშემწე, იურისტი.

---

# აკაკი — სპორტის ქომაგი

## წერილი მესამე

სამეგრელოსა და იმერეთის ურთიერთკავშირის ისტორია ჩინებულად იცოდა მგოსანმა, მისი ინტერესი დიდი იყო ხრესილის ველზე გამართული ბრძოლის მონაწილეობისადმი. აქ ხომ გონიერებასთან ერთად ფიზიკურმა ძალამაც შეასრულა დიდი როლი.

1757 წლის 14 დეკემბერს ხრესილის მცირე მინდორზე ახალგაზრდა სოლომონ პირველი იმერეთის სამეფო ჯარს მეთაურობდა ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ოსმალთა ჯარის სპეციალური ნაწილი შეუმჩნევლად მიუახლოვდა მეფეს, მაგრამ ამ დროს უდიდესი გაბედულება გამოიჩინა ენგურისპირელმა ხუტუნია შერვაშიძემ, რომელმაც მტერს ზურგიდან შემოუარა და გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა მას. როგორც ამ ამბების აღმწერი ნიკო დადიანი გადმოგვცემს ხუტუნია შერვაშიძემ 18 ოსმალო აჩეხა ხრესილთან და, მართალია თვითონ დაიღუპა, მაგრამ სამეფო კარის მეფე გადაარჩინა.

რას შეეძლო ეს გაეკეთებინა თუ არადა დიდ ფიზიკურ ძალას, რომელსაც წვრთნას არ აკლებდა მისი პატრონი.

მეგრელი ფალავნების გამარჯვებით გახარებული მგოსანი კალამს არ ზოგავს, ენერგიას არ იშურებს. საინტერესოა მისი ფელეტონი „გლდანელი და ესებუა", რომელიც „ივერიის" 1886 წლის № 192-ში დაიბეჭდა.

„უხსოვარ დროიდან შემოღებულ ჭიდაობას ჩვენში ყოველთვის რაინდული ხასიათი ჰქონია და დღეს კი, ერთი ხანია, რაცა გლდანელმა თავი იჩინა, ვაჟკაცურ გზას დაადგა. ქალაქში და კვირა—კვირაობით ეს ახალი ფალავანი, „კულად" წოდებული გლდანელი, მშართავს ბაღებში სარბიელს და ახ-ახ მანეთიანებს იღებს ჯიბეში... ამას წინათ ხმა გავარდა, რომ ბათუმში ვიღაც ახალგაზრდა მეგრელმა ესებუამ დაამარცხა გლდანელი!.. ბევრს არ ეჯერა ეს ამბავი და მართალია რომ ძნელი დასაჯერებელიც იყო... ჭავრზე მოსულმა ესებუამ, კვირას ხელმეორედ გამოითხოვა გლდანელი და გაიმართა ჭიდაობა... ეძგერენ ერთმანეთს, გლდანელმა დააბერტყა პირველად ესებუა, ისე ძლიერ დაატრიალა, რომ ყველას ეგონა, მოსხლეტს დედამიწიდან და ჰაერში აიტანსო, მაგრამ ბოლოს თავი შეიმაგრა ახალგაზრდა მოჭიდავემ და შორს გადააგდო გლდანელი, რომელიც პირდაღმა და დათხვრებული დაეცა. წამოხტა ზეზე მოუბრუნდა გაბრაზებული ფალავანი და წამოიკიდა ზურგზე ფალავანი ესებუა: გადაიტანა კიდეც ცალი ფეხით დააკვრევინა, მაგრამ ვერ დაიმორჩილა, თუმცა ყელში უჭერდა ხელს. ადგნენ და ხელმეორედ შეიბნენ: კიდევ გადაიტანა გლდანელმა პირველზე უფრო მარჯვედ, მაგრამ კიდევ ვერ დაიმორჩილა და ტყუილად ცდილობდა, რომ მისთვის სახე მოეგრიხა და ამით მაინც დაემორჩილებინა. კიდევ წამოდგნენ და მესამეთ შეუტიეს ერთმანეთს მაშინ კი გათამამებული მეგრელი მივარდა ვეფხვივით და ცოტახნის შემდეგ წაიქცა გლდანელი".

როგორც მკითხველი შეამჩნევდა, ფელეტონის ავტორის სიმპათიები ესებუასკენაა მიმართული.

ეს იმის ნიშანია, რომ აკაკი წერეთელი შეყვარებულია მეგრულ ეთნოსზე, რომელსაც აქვს უარყოფითი მხარეებიც, მაგრამ დადებითი მეტია მასში.

ამ ფელეტონის დაწერიდან გავა ოთხი გაზაფხული და ქართველი მკითხველი წაიკითხავს მგოსნის მესტვირულ ლექსს, რომელშიც კულა გლდანელისა და ნესტორ ესებუას ჭიდაობის სურათია დახატული.

ლექსის შესავალი ნაწილის შინაარსი ასეთია: იმერლები გაბრაზდნენ, როგორც კი გაიგეს, რომ კულა გლდანელმა ყველა მოჭიდავე დაჯაბნაო, ამიტომ ისინი ამხედრებულნი ჩანან გლდანელის წინააღმდეგ:

როგორ თუ მთელი ქვეყანა
მან ასე აიბუაო,
მოდი გავგზავნოთ აქედან
მეგრელი ესებუაო.
ისე დაბეგვოს, იცოდეთ,
როგორ, რომ დანის ყუაო
მაშინ იტლინკოს გლდანელმა
მერე ისწავლოს ჭკუაო.
მოიხმოს უთხრას მეგრელსა
ვაჟკაცობის გაქვს ნიშიო,
ნუ გეშორება კორტოხი,
წადი გადაგვი ბიჭიო.

ლექსის ავტორის თქმით, ესებუა მართლაც მიდის გლდანელთან საჭიდაოდ. გლდანელს შიშველ ტანზე ქონი წაუსვია, რომ მოწინააღმდეგემ ხელი ვერ ჩასჭიდოს. ეს დაინახა ესებუამ, რომელმაც

განზე გაუხტა მატყუარს,
სისწრაფით მოიშორაო,
ამბობს, ხელს ველარსად ვკიდებ
რა ცუდად მომალორაო.
მივარდა, ყელში ხელი ჰკრა
ცდილობს ზეწამოდგომასა
ზევიდან მტკავლავს ნესტორა,
თითქოს ილებდეს ზომასა,
თან ეუბნება დაცინვით
კულა ნულარ სწევ შრომასა,
უფრთხილდი, თან არ გადაყვე
შიშსა და გულის წყრომასა,
ფეხებში ხელი მოჰკიდა
თავდაღმა დააყირაო,
საცეცხურივით დაკმევა
ოთხკუთხივ დაუპირაო.

პოეტი შემდგომ ამისა წერს, რომ დამარცხებული კულა გლდანელი ატირებულა და ნესტორისთვის უთქვამს:

შავბრიყვედი, დავაშავეო,
რომ ჩემი დიდი სახელი
ნესტორას ჩაუბარეო.

ამრიგად დიდი პოეტის შემოქმედებაში ასახვა პოვა მეგრელი კაცის რაინდულმა თვისებებმა, რომელიც დამახასიათებელია ქართველი ფალავნისათვის.

ი. გამსახურდია.

---

# დიდი ჩაისათვის ლაშქრობა მოგებულია



62500 ტონა ჩაისათვის ლაშქრობა რომ სასახელოდ დაგვირგვინდა, ამაში დიდია დარჩელის მეურნეობის მწვანე პლანტაციის ოსტატთა წვლილიც.

სურათზე: მეშვიდე ბრიგადის წამყვანი მეჩაიეები მარჯვნიდან ქეთინო ჭაპავა, სონია გოშუა, ა[...] ჰითანავა, ვენერა ხოშოლავა.

ფოტო აკ. ყუფუნიასი.

აღზრდის თემაზე

# სკოლა ერის ფუძე და მომავალი

დიდად მაღელვებს ბავშვთა სწავლა-აღზრდის მდგომარეობა, მაგრამ ამ თემის ირგვლივ საუბარზე თავს ვიკავებდი იმის გამო, რომ პროცესი ისე რთული, მრავალფეროვანი და ამოუწურავია, რომ თვით დიდ ილიასაც ძნელ საქმედ მიაჩნდა და მოკრძალებით წერდა — მე პედაგოგი არ გახლავართო.

ამის შემდეგ როგორც სპეციალობით აგრონომს, უხერხულადაც მიმაჩნია აღზრდის თემაზე საუბარი, თუმცა გარკვეული წლების მანძილზე სახალხო განათლების დარგში მიმუშავია, ასეც რომ არა, როგორც საქართველოს მოქალაქეს და ოთხი შვილის დედას, უკვე გაჩუმება არ შემიძლია, და თუ რამე შეცდომა დავუშვი, კომპეტენტურმა პირებმა შემისწორონ, რადგან ჩემს აზრებს ყოველგვარი მტკიცების, ავტორიტეტთა მოშველიებისა და შემოწმების გარეშე გადმოვცემ, ისე უბრალოდ, როგორც მე ვფიქრობ.

ჩემი აღშფოთება გამოიწვია და მოთმინებაც დავკარგე, როცა საქართველოს სახალხო განათლების მინისტრმა ბატონმა გურამ ენუქიძემ საქართველოს ტელევიზიით განაცხადა. ჩვენ ახალი სასწავლო წლის დაწყება პროფკავშირის დაჟინებული მოთხოვნით პირველი სექტემბრისათვის გადავწყვიტეთო (სახის ასეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ცოდვებს ინანიებდა. ვითომ რა, პროფკავშირების დაწოლა, რომ არა პირველი სექტემბრისათვის მეცადინეობის დაწყებას არ აპირებდნენ?) მაგრამ ამან გამოიწვია საწინააღმდეგო რეაქცია და ჩვენ მათაც შევთანხმდით, როცა უნდათ მაშინ დაიწყონ სასწავლო წელი.

ისმის კითხვა: ვის არ უნდა სასწავლო წლის პირველ სექტემბერს დაწყება? პირველ რიგში მშობლების იმ ნაწილს, რომლებიც სკოლისაგან მოითხოვენ სიმწიფის ატესტატს და სულაც არ აინტერესებთ სკოლაში სასწავლო საამზრდელო პროცესი, რადგანაც ფიქრობენ (და არა უსაფუძვლოდაც), რომ სკოლა მაინც არ აძლევს ბავშვებს დღევანდელობის შესაფერის სწავლა-განათლებას და მათგან ერთ ჯგუფს ბავშვები დაჰყავთ რეპეტიტორებთან. მეორე ჯგუფს კი ამის ეკონომიკური შესაძლებლობა არ გააჩნია და საბოლოოდ ხელი ჩაიქნია, რწმენაც დაკარგა, რომ მათი შვილები ისწავლიან. ამიტომ მათ ურჩევნიათ სკოლაში სასწავლო პროცესი რაც შეიძლება შემცირდეს.

არის კატეგორია მასწავლებლებისა, რომლებიც შემთხვევით მოხვდნენ ამ საპატიო და მეტად მნიშვნელოვან უბანზე. ბუნებრივია ასეთ პედაგოგებს სულაც არ აინტერესებთ და არ ეჩქარებათ სასწავლო წლის დაწყება, რადგან სასწავლო საამზრდელო პროცესი მათთვის წამება და კლასგარეშე თავისუფალი დრო ერთგვარი დღესასწაულია.

და ბოლოს სასწავლო წლის დროულად დაწყება და ამ პროცესის სწორად წარმართვა ბუნებრივია არ უნდათ ჩვენს მტრებს, რომლებმაც კარგად იციან თუ როგორი მნიშვნელოვანია ერისათვის სკოლებში მაღალი სასწავლო საამზრდელო პროცესი, რომელიც აყალიბებს მაღალი ინტერესებისა და პოტენციალის თაობას.

დიახ დღესავით ნათელია, რომ ერის მომავალს განსაზღვრავს ახალგაზრდა თაობა. მერედა ვზრუნავთ ჩვენ მათი ღირსეული სწავლა-აღზრდისათვის? ჩემის აზრით სულაც არა. ამაზე მიგვითითებს შემდეგი ფაქტორები:

1. სასწავლო დროის ხელოვნური შემცირება, რაც იწვევს ისედაც უზომოდ გაბერილი პროგრამული მასალის გადიდებული მოცულობით მიწოდებას, რომელსაც ვერ ძლევს მოზარდი და კარგავს რწმენას საკუთარი ძალებისადმი და წყვეტს მეცადინეობას;

2. სკოლებში მომრავლდა არასპეციალისტი და შემთხვევითი პედაგოგები. ასეთი პედაგოგები ცდილობენ თავიანთი მდგომარეობა შეინარჩუნონ მოსწავლეებზე დიქტატის გამოყენებით, ხოლო სკოლის ხელმძღვანელების მიმართ დავითა და მუქარით;

3. სკოლების მძიმე მატერიალურ, ტექნიკური ბაზაზე კომპიუტერებსა და სხვა ტექნიკურ საშუალებებზე ოცნებაც კი არ შეიძლება. კიდევ მეტი. ცარცითაც კი ჭირს მომარაგება. რა თქმა უნდა სახელმძღვანელოებზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია. სახელმძღვანელოების დეფიციტის მიზეზად ქაღალდის უკმარისობას იმიზეზებენ. ეს იმ დროს როდესაც მაღაზიების თაროები და საკუჭნაოები ჩახერგილია ისეთი წიგნებით რომლებსაც არც მკითხველი ჰყავს და არც მყიდველი. გარკვეული დროის შემდეგ კი ეს გახუნებული წიგნები, რომლებიც ათეულ-ათასობით ეგზემპლარია გამოსული, მაკულატურის დამამზადებელ პუნქტებს ბარდება. საკითხავია ვის სჭირდება და ვისთვისაა ხელსაყრელი ასეთი წიგნების გამოცემა დიდი ტირაჟით. ნუთუ ამ ტირაჟის შემცირება არ შეიძლება. ცუდი მდგომარეობაა სკოლების შენობა-ნაგებობათა კეთილმოწყობისა და ინვენტარით მომარაგების მხრივ, ზამთარში სკოლები ზოგან არც კი თბება და მოსწავლეც და მასწავლებელიც გაყინულ საკლასო ოთახებში სიცივისაგან ითოშებიან. ყოველივე ეს ცუდად მოქმედებს ბავშვთა სწავლა-აღზრდის მდგომარეობაზე.

დილეტანტობაში რომ არ ჩამომერთვას მოვიყვან ადგილს პროფესიონალი პედაგოგის პუბლიკაციიდან, რომელიც გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის" 3 ივლისის ნომერში დაიბეჭდა: „კალაპოტიდან ამოვარდნილი სკოლა მღვრიე მორევში აღმოჩნდა, დაირღვა ორგანიზებული სწავლების რიტმი, დაიწყო განუკითხაობა, გაკვეთილების უმიზეზოდ გაცდენა. აცდენენ როგორც მოსწავლეები, ისე მასწავლებლები. მოსწავლეთა სკოლაში უწიგნოდ, უჩანთოდ, უფორმოდ გამოცხადება, შემეცნებითი და აკადემიური დონის დაქვეითება, მასწავლებლისადმი რიდისა და მოკრძალების უგულებელყოფა, უფროს-უმცროსობის ტრადიციების უკუგდება, გაკვეთილების უმიზეზოდ გაცდენებმა მოზარდს ქუჩისაკენ უბიძგა, ხოლო ცოდნის დაბალმა დონემ სწავლებისა და აღზრდის გათიშვამ მას შრომისადმი ცინიკური დამოკიდებულება გამოუმუშავა.

ხედავთ რა მდგომარეობაა? სკოლა უფსკრულის წინაშე დგას...

რაში ვხედავთ მომავალს? პედაგოგების მსოფლიო ინტელექტუალურ მიღწევათა გათვალისწინებით საჭიროა სასწავლო საამზრდელო პროცესის დაუყოვნებლივ რეორგანიზაცია, თანამშრომლობის პედაგოგიკის დანერგვა, სკოლების ჰუმანიზაცია, საყოველთაო სავალდებულო სწავლების გაუქმება, პროფილირებული სწავლების შემოღება, სასწავლო გეგმების პროგრამებისა და სახელმძღვანელოების დახვეწა, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება, მათი ატესტაციის ჩატარება, მასწავლებელთა ხელფასის მომატება, სკოლებისადმი ნდობის გამოცხადება და გამოსაშვებ კლასებში გამოცდების ორ საგნამდე დაყვანა. სასწავლო დროის დაკანონება პირველი სექტემბრიდან 30 ივნისამდე, სკოლის მატერიალურ ტექნიკური ბაზის განმტკიცება, მშობელთა პასუხისმგებლობის ამაღლება, თუნდაც მშობლის უფლების ჩამორთმევამდეც."

ვინც დამოუკიდებელი საქართველოსათვის, მისი ხვალინდელი დღისათვის იბრძვის, უნდა აცნობიერებს, რომ ერის ფუძე და ნათელი მომავალი სკოლიდან იწყება. როგორიც გვექნება სკოლა, ისეთი იქნება ჩვენი მომავალი. მთელი ჩვენი გონება და ძალისხმევა უნდა მივაპყროთ სკოლას.

**[illegible]**,
[illegible] კოლმეურნეობის აგრონომი.

[illegible] ჰონორარი გადაირიცხა [illegible] დემოკრატიულ ფონდში.

მუზეუმის ისტორიის ფონდში

ზუგდიდის სამეცნიერო ცენტრის — ისტორიული მუზეუმის ისტორიის ფონდში დაცულია ჩვენი ქალაქისა და რაიონის მრავალი სახელოვანი ადამიანის

# მკურნალი და მოქალაქე

ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალები. მათი თავმოყრა აღნიშნულ ფონდში მიზნად ისახავს არა მხოლოდ დაცვა-შენახვას, არამედ ფართო საზოგადოების წინაშე გამოტანასაც. წლების მანძილზე ადგილობრივ პრესაში ჩვენი თანამშრომლების ავტორობით, პერიოდულად ქვეყნდება წერილები ამ თანამემამულეების ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, რომლებმაც თავი გამოიჩინეს მეცნიერების, ხელოვნებისა და კულტურის ამა თუ იმ დარგში შეტანილი წვლილით. ამჯერად, გვინდა მკითხველებს გავაცნოთ ჩვენი ქალაქის მკვიდრი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი იზოლდა ნიკოლოზის ასული ქორჩუა.

დაიბადა 1952 წელს ქ. ზუგდიდში. 1969 წ. დაამთავრა საშუალო სკოლა. 1970-1976 წწ. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ შრომით საქმიანობას იწყებს ორსანტიაში ამბულატორიის გამგედ, შემდგომში ზუგდიდის რესპუბლიკური საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების ექიმ-ორდინატორია. პარალელურად სწავლას განაგრძობდა თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ასპირანტურაში თერაპია-კარდიოლოგიის კათედრაზე, სადაც მას სამეცნიერო ხელმძღვანელობას უწევდა ცნობილი სწავლული, პროფესორი გ. ცინცაძე.

პრაქტიკული საქმიანობისა და სამეცნიერო კვლევის ორგანული ურთიერთშეხამების შედეგად ი. ქორჩუამ, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, შექმნა ფრიად საყურადღებო ნაშრომი — „გემორეოლოგია და გულის კუმშვითი ფუნქცია ალკოჰოლური მიოკარდიოსტროფიების დროს". ეს გამოკვლევა დაედო საფუძვლად მის საკვალიფიკაციო ნაშრომს, რომელიც წარმატებით დაიცვა 1988 წ. და მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

ი. ქორჩუა ავტორია არაერთი სამეცნიერო სტატიისა და მეთოდური რეკომენდაციისა, რომლებიც გამოქვეყნებულია როგორც ქართულ, ისე არაქართულ სამეცნიერო გამოცემებში. მისი ინიციატივით 1982 წ. თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის თერაპია-კარდიოლოგიის კათედრაზე № 1 საავადმყოფოში დაინერგა სისხლის რეოლოგიური თვისებების გამოსაკვლევი ახალი მეთოდები.

ქალბატონი იზოლდა შესანიშნავად უთავსებს ერთმანეთს მკურნალის რთულ, უაღრესად შრომატევად საქმიანობას და ოჯახის დიასახლისის და დედის საპატიო მისიას. ის ორი ვაჟიშვილის დედაა.

ვუსურვოთ მას შემდგომი წარმატებები ადამიანთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე.

ბ. არახამია,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ზუგდიდის სამეცნიერო ცენტრის დირექტორი.

არენდულ შრომას — მწვანე გზა!

# ორმხრივი შეთანხმებით

დღეს არავის არ ეუცხოება არენდული მეთოდით შრომა. ადამიანები წვდებიან ეკონომიკურ საკითხებს. ანგარიშობენ დანახარჯებს, უკუგებას და ორმხრივი შეთანხმებით იპიროვნებენ პლანტაციებს, მსხვილფეხა საქონელს. და სხვა.

რწმენით ეკიდებიან არენდულ შრომას ახალაბასთუმანში, გარკვეული აქვთ მიზანი და შედეგები. ბევრ შემოთავაზებულ წინადადებას თავიანთი გამოცდილება დაუპირისპირეს მეღორეობის ფერმის მუშაკებმა ნაზო ქობალიამ და პოლიკარპე ქადარიამ, რომლებიც იჯარული შრომის მეთოდით უვლიან ათ ძუძუსა და მის 200-მდე ნამატს. ასრულებენ ხორცის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების დავალებებს და აი, გაჩნდა ახალი იდეა. არენდული წესით გაეპიროვნათ ათი სული ფური. ჩანაფიქრი ორი წლის წინ განახორციელეს. პირველ ხანებში გაუჭირდათ კიდეც, მაგრამ პრობლემების მოგვარებით შარშან გადამეტებით შეასრულეს რძის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების დავალებები, ამასთან თითოეულმა 5-5 ათასი მანეთი შემატეს ოჯახის ბიუჯეტს.

მიმდინარე წელს მეარენდატორეებმა უნდა აწარმოონ 15 ტონა რძე, დღეისათვის წარმოებულია 10 ტონა. ჩაბარებულია 9 ტონა რძე.

ამ მეტად მომგებიან საქმეს უნარიანად ართმევენ თავს მეარენდეეები. ისინი ყველ-კარაქის ქარხანას აბარებენ ყველს ნატურაში და ზედნადებით მიღებულს თვითონვე უკეთებენ რეალიზაციას.

საქონელი ძირითადში ბაგურ კვებაზე ყავთ, მაგრამ არის შესაძლებლობა ისარგებლონ ადგილობრივი საძოვრებით. — მარტო საკუთარი თავის იმედით ვერაფერს გავხდებით, — ამბობს ნაზო. ჩვენ დიდ დახმარებას გვიწევს, უფრო სწორად ხელშეკრულების ყველა მუხლს უკლებლივ იცავს კოლმეურნეობის გამგეობა. ჩვენ მათგან ვიძენთ პირუტყვისათვის მწვანე საკვებს, სილოსს, სენაჟს, კომბინირებულ საკვებს და სხვა, რომლის შეწყვეტა უარყოფითად იმოქმედებს წველადობაზე, მაგრამ ურთიერთ შეთანხმებით ჩვენ გამოვდივართ ყოველგვარი სიტუაციებიდან. — მართლაც რომ ასეა, ადასტურებს კოლმეურნეობის პროფკომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ ქობალია და დასძენს: ერთ სიკეთესაც უნდა შევეხოთ, თურმე მეარენდე მეცხოველეები სოფლის საბავშვო ბაღს ყოველდღე უფასოდ აძლევენ რამდენიმე ლიტრ რძეს, რამაც მადლიერების გრძნობა გამოიწვია მეარენდეების მიმართ.

არენდული შრომის სიკეთე ნათელია მეცხოველეობაში, ალბათ მათ, სულ მალე გამოუჩნდებათ მიმბაძველები...

ბ. ასათიანი.

**იუმორი**

## უგამყიდველო მაღაზია

ლაბა ტოლორიაში ყველაფერი კეთდება მშრომელთა სავაჭრო მომსახურების გასაუმჯობესებლად. სწორედ ამის დასტურია ის ფაქტი, რომ ახლახან მაფშალიას ქუჩაზე გასტრონომი გადაკეთდა უგამყიდველო მაღაზიად.

მართალია, დახლებზე პროდუქტთა ასორტიმენტი იგივე დარჩა, მაგრამ სიახლეა სხვა მხრივ. კერძოდ, თუ ადრე გასტრონომში ცხრა კაცი მუშაობდა, ამჟამად, უგამყიდველოდ გადაკეთების შემდეგ, მათი რიცხვი რვა ერთეულით გაიზარდა!!!

**ჯ. ჯაბადარი.**

# განცხადებები:

**გიწვევთ დამფუძნებელ კონფერენციაზე**

**მ. წ. 15 სექტემბერს, 12 საათზე გაიმართება შონიების საგვარეულო საზოგადოების დამფუძნებელი კონფერენცია.**

**შონიების გვარის ყველა წარმომადგენელს, ნათესავებსა და ახლობლებს ვიწვევთ ქალაქის ცენტრალურ სტადიონზე.**

**საორგანიზაციო კომიტეტი**

---

13-14 სექტემბერს რუხის სტადიონზე ჩატარდება სპორტული საზოგადოება „შევარდენის" რაიონული საბჭოს 1990 წლის პირველობა მძლეოსნობაში, ხოლო ამავე სტადიონზე 15 სექტემბერს ჩატარდება ქართული ჭიდაობა. ღონისძიების დასაწყისი 11 საათიდან.

ფიზკულტურის კოლექტივებმა ადრე მიღებული დებულების შესაბამისად უნდა უზრუნველყონ მონაწილეობის მიღება.

**„შევარდენის" რაიონული საბჭო.**

---

**8 სექტემბერს დაიწყო და 8 ოქტომბრამდე გასტანს იური დათიკოს ძე ფიფიას ნამუშევართა პერსონალური გამოფენა.**

**გთხოვთ გვეწვიოთ.**

**საქალაქო კულტურის სახლი**

---

## ინვალიდთა ბედით დაინტერესებულთა საყურადღებოდ!

სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის (ინვალიდთა ასოციაციის) პრეს-ცენტრი იუწყება, რომ ჩამოყალიბდა ჩვენი კავშირის (ასოციაციის) ზუგდიდის რაიონული ორგანიზაციის დამფუძნებელი კონფერენციის საინიციატივო ჯგუფი შრომის მესამე ჯგუფის ინვალიდის ზაალ ცხონდიას თავმჯდომარეობით.

ინვალიდებსა და მათი ბედით დაინტერესებულ ადამიანებს ვთხოვთ, მიაკითხონ აღნიშნულ ჯგუფს შემდეგ მისამართზე: ქ. ზუგდიდი, გორკის ქუჩა 23. ტელეფონი: 2-67-97.

წინასწარ გმადლობთ თანადგომისა და თანამშრომლობისათვის!

---

**ქ. ზუგდიდის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე აცხადებს** მოსწავლეთა მიღებას 1990-91 სასწავლო წლისათვის შემდეგ წრეებსა, ანსამბლებსა და ქორეოგრაფიულ სტუდიაში:

ქართული ხალხური ცეკვების შემსწავლელი ქორეოგრაფიული სტუდია (სამეურნეო ანგარიშზე) სტუდიის ხელმძღვანელი ე. ნადარეიშვილი. სტუდიაში მიიღებიან 6-7 წლის ორივე სქესის მოსწავლეები. სტუდიაში სწავლების ხანგრძლივობა 4 წელიწადია. მოსწავლეებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: ა) განცხადება ბავშვთა ასაკისა და საცხოვრებელი ადგილის ჩვენებით, ბ) დაბადების მოწმობა (ასლი), გ) ჯანმრთელობის ცნობა, დ) ორი ცალი ფოტოსურათი 3X4-ზე. მოსწავლეთა მიღება იწარმოებს 10 სექტემბრიდან.

სამეჯლისო ცეკვების შემსწავლელი წრე, (პედაგოგები ქ. შამათავა, გ. კაპანაძე) მიიღებიან ორივე სქესის სათანადო ფიზიკური და მუსიკალური მონაცემების მქონე I-IV კლასის მოსწავლეები.

ვოკალური ჯგუფი (პედ. ნ. მამფორია) მიიღებიან I-IV კლასის მოსწავლეები.

ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების შემსწავლელი წრე (ფანდური, ჩონგური, ჩანგი, სალამური, დიპლიპიტო, პედაგოგები: ნ. მაქაცარია, ქ. კილასონია) მიიღებიან IV-XI კლასის მოსწავლეები.

მოსწავლეთა საქალაქო თეატრი სტუდია „ათინათი" (პედაგოგები: ლ. სულხანიშვილი, მ. ჯაფარიძე) მიიღებიან სათანადო მონაცემების მქონე I-XI კლასის მოსწავლეები,

მხატვრული კითხვა (პედაგოგი ნ. ჭითანავა) მიიღებიან სათანადო მონაცემების მქონე I-XI კლასის მოსწავლეები.

ნორჩ შემოქმედთა წრე (პედაგოგი ქ. ტაბალუა) მიიღებიან სათანადო მონაცემების მქონე IV-XI კლასის მოსწავლეები.

ქართული ენა-ონომასტიკის წრე (პედაგოგი მ. თოდუა) მიიღებიან სათანადო მონაცემების მქონე V-XI კლასის მოსწავლეები.

ჩასაბერი ინსტრუმენტები (პედ. ს. პალიაკოვი) მიიღებიან სათანადო მონაცემების მქონე I-VIII კლასის ჩათვლით. ვაჟები.

ვოკალურ ფოლკლორული ანსამბლი და ვოკალურ საკრავიანი ორკესტრი „ოდიში" (ხელმძღვანელები: ზ. კანკია, ნ. მამფორია) მიიღებიან განსაკუთრებული მუსიკალური მონაცემების მქონე ორივე სქესის I-IV კლასის მოსწავლეები.

გამოთვლითი ტექნიკისა და ინფორმატიკის წრე (პედ. დ. კარტოზია) მიიღებიან IV-XI კლასის მოსწავლეები.

ქიმიკოსთა წრე (პედ. დ. ანჯაფარიძე) მიიღებიან VIII-X კლასის მოსწავლეები.

რადიომოყვარულთა წრე (პედ. ა. კიტია) მიიღებიან IV-XI კლასის მოსწავლეები.

ავიამოდელისტთა წრე (პედ. ა. კვარაცხელია) მიიღებიან IV-XI კლასის მოსწავლეები.

ნორჩ მოჭადრაკეთა წრე (პედ. ქ. მზარეულუა) მიიღებიან IV-VII კლასის მოსწავლეები.

ფოტომოყვარულთა წრე (პედ. ი. ფუფუნია) მიიღებიან IV-XI კლასის მოსწავლეები.

ბუნების დაცვის წრე (პედ. დ. კვანტალიანი) მიიღებიან V-VIII კლასის მოსწავლეები.

ეკოლოგთა წრე (პედ. ც. მელია) მიიღებიან V-VIII კლასის მოსწავლეები.

ტურიზმის წრე (პედ. ა. ბაკურაძე) მიიღებიან VII-IX კლასის მოსწავლეები.

საოჯახო ესთეტიკისა და ნორჩ ხელმარჯვეთა წრე (პედ. მ. თვალთვალაძე) მიიღებიან VI-IX კლასის მოსწავლეები.

რელიგიის ისტორია (პედ. ა. ბაძალუა) მიიღებიან VIII-XI კლასის მოსწავლეები.

ქართული ენის შემსწავლელი წრე რუსული სექტორისათვის IV საშუალო სკოლის ბაზაზე (პედ. დ. ახალაია) მიიღებიან III-VI კლასის მოსწავლეები.

მოსწავლეთა მიღება იწარმოებს 15 სექტემბრამდე. ქართული ხალხური ცეკვების ანსამბლი „კოლხა", სამეჯლისო ცეკვების ანსამბლი „ეგრისის მერცხლები" და „იავნანინა", ვოკალურ-საკრავიანი და ვოკალურ-ფოლკლორული ანსამბლი „ოდიში", ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლი „მაფშალია", უმცროსკლასელთა ანსამბლი „გაზაფხული". ყველა დასახელების კლუბები, სასახლის ბიბლიოთეკა, დაკომპლექტებული წრეები მუშაობს 1 სექტემბრიდან.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ სასახლეს.

მისამართი: ზუგდიდი, ლენინის ქ. № 12.

ტელეფონები: 2-29-04, 2-65-45, 2-64-11, 2-66-86.

## ვითხოვ მხარდაჭერას და დახმარებას

ვარ სოფელ კორცხელის მკვიდრი. ქმარი სამამულო ომში დამეღუპა. ერთად ერთი მარჩენალი ვაჟიშვილიც ხელიდან გამომეცალა. დავრჩი უპატრონოდ.

თითქოს და ყველაფერმა ჩემი ოჯახისათვის მოიცალა. ბუნებამაც გამწირა. ჩემი კარმიდამო მეწყერის ზონაში მოყვა. კორცხელის დობერის უბანში მცხოვრებთ, რომლებიც მეწყერიანობის გამო იქნენ ასახლებულნი, ყველას გამოუყვეს სამოსახლო ნაკვეთი. მე კი დავრჩი ყურადღების მიღმა. ვის არ მივმართე თხოვნითა და მუდარით ვის არ შევაწუხე, რაიონისა და სოფლის არცერთი ინსტანცია არ დამიტოვებია, განცხადებებითაც მივმართე, მაგრამ შედეგი დღესდღეობით არაფერია. ჩემი განცხადებები აჭრელებულია დადებითი რეზოლუციებით, მაგრამ ამ განცხადებებმა ვერავის ვერ მოულბო გული ჩემს სასარგებლოდ.

რამდენი რამ იწერება სამამულო ომში მარჩენალდაკარგული ოჯახების შეღავათებზე და მათზე დახმარების შესახებ, მაგრამ სოფლის ხელმძღვანელებისაგან დღემდე არავითარი დახმარება არ მხვდომია და არც შემდგომში უჩანს თანადგომის პირი.

მაინტერესებს, ჩემი ოჯახი რატომ არის გამონაკლისი, მეკუთვნის თუ არა მარჩენალ დაკარგულს სოფლის ხელმძღვანელებისაგან თანადგომა და დახმარება?

**სულიკო ქობალია,**
**სოფელი კორცხელი.**

**მადლობის სტრიქონები**

## იგრძნობა ზრუნვა

ცაიშის ჩაის ფაბრიკის პროფკომიტეტის ინიციატივით, მოწვეულ იქნა მოსკოვის საექიმო-ცენტრო მეთოდური ცენტრ „ჯუნას" და გამაჯანსაღებელი სისტემების შორეული აღმოსავლეთის ცენტრის კურსდამთავრებული ზ. ლიკლიკაძე, რომელმაც ფაბრიკის მუშაკებს ჩაუტარა უკონტაქტო ბიო-მასაჟები. ავადმყოფების განცხადებით მკურნალობის შედეგები ეფექტიანია, მოეხსნათ ტკივილები, იგრძნობა ადამიანებისადმი ზრუნვა, რისთვისაც მადლობას უხდიან ფაბრიკის ხელმძღვანელებს.

**ლ. შამუგია.**

## ე. ა. წყაროზია



გარდაიცვალა პარტიისა და შრომის ვეტერანი, სკკპ წევრი 1926 წლიდან რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, ზუგდიდის საპატიო მოქალაქე **ერმილე ანდრიას ძე წყაროზია.**

იგი დაიბადა 1901 წელს სოფელ შამგონაში. აქვე მიიღო პირველი დაწყებითი განათლება, შემდგომ კი ექსტერნის წესით იღებს საშუალო განათლებას და ებმება საზოგადოებრივ შრომაში.

ე. წყაროზია სხვადასხვა დროს მუშაობდა ზუგდიდის მიწათმოწყობი კომისიის თავმჯდომარედ, გზატკეცილების განყოფილებაში უფროს მუშად, გზატკეცილების გზის ოსტატად, საექსპლოატაციო უბნის უფროსად. იყო ზუგდიდის რაიაღმასკომის საგზაო განყოფილების გამგე. 1932 წელს მას ირჩევენ კახათის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, შემდგომ შამგონის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, მუშაობდა საგზაო მშენებლობის სამუშაოთა მწარმოებლად „კოლხიდმშენის" სისტემაში. იყო, რაიაღმასკომის საგზაო განყოფილების გამგე, „სოიუზტრანსის" ზუგდიდის ავტობაზის დირექტორის მოადგილე, შამგონის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე, რაიაღმასკომის საგზაო განყოფილების ტექნიკოსი.

ე. წყაროზია სწავლობდა საკავშირო კვების მრეწველობის აკადემიაში, რომლის დამთავრების შემდეგ სპეციალობით მუშაობდა სხვადასხვა წარმოებაში.

ე. წყაროზია არაერთხელ იყო არჩეული რაისაბჭოს, სასოფლო საბჭოს დეპუტატად, მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები, სამკერდე ნიშანი „პარტიაში 50 წელი".

წავიდა ჩვენგან უპრეტენზიო მუშაკი, სპეტაკი ადამიანი, ახალი თაობის დამრიგებელი, შესანიშნავი პიროვნება, რომლის ხსოვნა დიდხანს შემორჩება მის ახლობლებს, მეგობრებს, ამხანაგებს.

**ამხანაგების ჯგუფი.**

**რედაქტორი**
**აკ. შანტურია.**

---

დედა გარდო, მამა ჩოხო, და ნინო, ძმა ბესიკი, ბიძები: სევერიან მესხი, ჰამლეტი ლეინჯილია, ბიცოლა ნიურა, სიძეები: ოთარი ახთია, შუკუზი გაბელაია, გურამი კარტოზია, რძლები ქეთინო შონია, თამილა ჭედია, მანანა იაშვილი, მაია ბარბაქაძე, მაგული მიმინოშვილი, ნინო წოწერია, ნანა შამათავა, მამიდა თამარა დარასელია, დეიდა შუშუნა გუგუნავა, ბიძაშვილები: მზია, ნატო, გულადი, ნუგეში მესხები, თამაზი, ვახტანგი, ნუგზარი, მერაბი ლეინჯილიები, მამიდაშვილები სულიკო, რეზო, ბორისი დარასელიები, კოტე, ნათელა, ლალიკო ნადარაიები, დეიდაშვილები მედიკო, თემური გუგუნავები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**ბეზური ჩოხოს ძე მესხის**

გარდაცვალებას, პანაშვიდი 15, 16 სექტემბერს, დაკრძალვა 18 სექტემბერს სოფ. ჭითაწყარში, გამოსვენება რუსთაველის ქუჩა № 239-დან

---

ორსანტიის სანერგე საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტი, მეურნეობის დირექცია, სასოფლო საბჭოს აღმასკომი და პროფკავშირის კომიტეტი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**სერგო აკაკის ძე ნინუა**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე ტერენტი, შვილები: ლენიზა, მურადი ხუბულავები, ნუკრი გვარჯალაძე, და სონია, რძალი ლეილა შონია, სიძეები: იურა თოდუა, მერაბი ლამხია, გენო გოგოხია, ვახტანგი ვაჩიბერაძე, დისშვილები: კიჟე, სულიკო, ნათელა, დოდო, მეტვარი გუგუშვილები, ვახტანგი, ლამარა, ნუნუ ჯახიები, შვილიშვილები: ბაია, მერაბი, მალხაზი, იზა, მზახალი დუნია შონია, მულისშვილი მარსელინა რაფავა, მაზლიშვილები ლალი, მარინა ხუბულავები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**შურა პართენის ასულ კუპრეიშვილი-ხუბულავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15, 16 სექტემბერს. დაკრძალვა 18 სექტემბერს ქ. ზუგდიდში, გამოსვენება გამარჯვების ქ. № 134-დან.

---

„საქავტომრეწვის" ზუგდიდის ღვინის ქარხნის კოლექტივი იუწყება ერმილე ანდრიას ძე წყაროზიას გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს ოჯახს.

---

ინგირის ჩაის ფაბრიკის კოლექტივი იუწყება ყოფილი დირექტორის

**აბელი (არტემი) იაკობის ძე შონიას**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას განსვენებულის ოჯახს.

---

ИНДЕКС 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ. № 52. ტელეფონები: რედაქტორის 2-21-80, რედაქტორის მოადგილის — 2-33-69 პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78 მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-47-05

საქ. სსრ ბეჭდვსახკომის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 52, ტელეფონი 2-23-07 ტირაჟი 22000 შეკ. № 4052